

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის

კონსტანტინე შარაშენიძის

1 წლის საქმიანობის შემჯამებელი ანგარიში

1 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ოფიციალურად შევუდექი ჩემი უფლებამოსილების განხორციელებას. ეს თქვენი თანადგომისა და მხარდაჭერის გარეშე ვერ მოხდებოდა, რისთვისაც მინდა მადლობა გადაგიხადოთ. ჩემთვის ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა ვიყო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი. თქვენთან ერთად და თქვენი ჩართულობით არაერთი საინტერესო პროექტის განხორციელებას ვაპირებ. იმედი მაქვს, მექნება თქვენი მხარდაჭერა და ერთად მეტს შევძლებთ. მინდა გჯეროდეთ, რომ ჩვენი ყოველი სამუშაო დღე იქნება წინ გადადგმული ნაბიჯი ოზურგეთის განვითარებისთვის.

✓ ინფრასტრუქტურული პროექტები

მიმდინარე წელს დავიწყეთ მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება. მათ შორის, პარკებისა და სკვერების მშენებლობა-რეაბილიტაცია. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ მშენებლობის ნორმების, ხარისხის და უსაფრთხოების სტანდარტის ამაღლებას.

გავაგრძელებთ წინა მუნიციპალიტეტების მიერ დაწყებული გარდამავალი პროექტები. დავიწყეთ საგზაო ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობა.

ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა 5 518 000 ლარით.

რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან წელს ოზურგეთის მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი თანხა შეადგენს 7 550 519 ლარს, მუნიციპალიტეტის თანადაფინანსება 1 612 771 ლარს. ჯამში 9 163 290 ლარის ფარგლებში უკვე დასრულდა:

ბოხვაური-შემოქმედის დამაკავშირებელი გზის-1 340 მეტრი სიგრძის ასფალტ-ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები ღირებულებით - 494 214 ლარი.

ვაკიჯვარი-ფამფალეთი-მთისპირის 1 755 გრძივი მეტრი საავტომობილო გზის მშენებლობა. სამუშაოებზე დახარჯულია 865 902 ლარი.

ნასაკირალი-მელექედურის დამაკავშირებელი 3 485 მეტრი სიგრძის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია - სახელშეკრულებლო ღირებულებით 662 010 ლარი.

დასრულდა სილაური-ოზურგეთი-ნინოშვილი-ლესას მიმართულებით 2 767 მ. გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები სახელშეკრულებლო ღირებულებით 843 510 ლარი.

სოფელ ჭანიეთის ცენტრიდან ქაქუთის დასაწყისამდე 1 979 მეტრი სიგრძის გზის რეაბილიტაცია - ღირებულებით 813 299 ლარი.

დასრულდა შემოქმედის ცენტრი-გორისფერდის გზის პირველი ეტაპის სარეაბილიტაციო სამუშაოები -1 430 გრძ.მ - ღირებულებით 420 238 ლარი.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობის განკარგულებით მუნიციპალიტეტს დამატებით აღნიშნული სამუშაოების მეორე ეტაპისათვის გამოეყო 133 793 ლარი, შესაბამისად გაგრძელდა ჭანიეთი-ქაქუთის 2 კმ. გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები სახელშეკრულებლო ღირებულებით 813 299 ლარი და სოფ. შემოქმედის ცენტრი-გორისფერდის 1 530 მეტრი სიგრძის გზის მოწყობა სახელშეკრულებლო ღირებულებით 527 016 ლარი.

მომზადდა ქალაქ ოზურგეთის ტერიტორიაზე არსებული დაზიანებული ქუჩების (გორკის, ლანჩხუთის, ინგორყვას, შევარდნაძის,ჯორჯიაშვილის, წმ. გიორგის, სანაპიროს, გიორგაძის, ყაზბეგის ქუჩების სარეაბილიტაციო პროექტი (საერთო სიგრძით 7 732 - ღირებულებით 343 600 ლარი), რომელთა სამუშაოებიც დასრულების ეტაპზეა.

სრულდება სოფელ დვაბზუში 110 მეტრიანი კაპიტალური ხიდის მშენებლობა, რომელიც 2013 წელს დაიწყო. გამომდინარე იქედან, რომ უხიდობის გამო ადგილობრივ მოსახლეობას კუთვნილ საყანე ფართობებთან მისვლა შემოვლითი გზით უწევდა, 2017 წლის თვითმართველობის არჩევნების შემდეგ, ხიდის მშენებლობა გავაგრძელებთ.

დასრულდა ნიკოლაძის ქუჩაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სკვერის კეთილმოწყობა - ღირებულებით 53 822 ლარი.

საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით სოფელ ჭანიეთში ევროპული სტანდარტების ახალი სკოლა აშენდა

სრულდება არტემ ერქომაიშვილის სახელობის სიმღერისა და გალობის მუზეუმის მშენებლობა ჯამური ღირებულებით 364 049 ლარი.

მიმდინარეობს შეკვეთილის შიდა გზების მოწყობის სამუშაოები სახელშეკრულებლო ღირებულებით 539 000 ლარი. პროექტი მოიცავს 830 გრძივი მეტრი ბეტონის საფარის, გარე განათებისა და ტროტუარების მოწყობას.

გაგრძელდა დაბა ნასაკირალში N 2 საბავშვო ბაღის მშენებლობის პროცესი, რომელიც 75 აღსაზრდელზე არის გათვლილი - რაზეც დაიხარჯა 458 413 ლარი.

მოსახლეობის მოთხოვნის თანახმად შესწავლილი იქნა მრავალბინიან სახლებში არსებული ლიფტების მდგომარეობა, დაიგეგმა სარეაბილიტაციო სამუშაოები.

ამ ეტაპისთვის, კოსტავას ქუჩა N2-სა და N4-ში სამგზავრო და სატვირთო სამ ერთეულ ლიფტს ჩაუტარდა რეაბილიტაცია.

სრულდება აკაკის ქუჩა N25-ის, გრიბოდოვის ქუჩა N31-ის, ანასეულში, მეცნიერების ქ. N22-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის, ასევე სოფელ მერიის უსახლკაროთა თავშესაფარის ქუჩის ქ. N4-ში მდებარე უსახლკაროთა თავშესაფარის კანალიზაციის სისტემების რეაბილიტაციის სამუშაოები - ჯამური ღირებულებით 303 000 ლარი.

უახლოეს პერიოდში აღდგენითი სამუშაოები ჩაუტარდება მეცნიერებისა და შევარდანძის ქუჩებზე მდებარე კორპუსების საკანალიზაციო სისტემებს.

დასრულდა მერაბ კოსტავას №129-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები - სახელშეკრულებლო ღირებულებით 49 598 ლარი.

შესწავლილი იქნა ქ.ოზურგეთში დაზიანებული სანიაღვრე არხების მდგომარეობა. შედგა შესაბამისი სადეფექტო აქტები, რის საფუძველზეც მომზადდა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტი, რომლის საერთო ღირებულება შეადგენს 96 544 ლარს.

სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების ფარგლებში გადაიხურა 2018 წლის 2 აპრილს ძლიერი ქარის შედეგად დაზიანებული, დაბა ნარუჯაში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის სახურავი.

შესრულდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიის შედეგად დაზარალებული ინდივიდუალური 20 საცხოვრებელი სახლის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები - სახელშეკრულებლო ღირებულებით 135 059 ლარი.

დახმარება გაეწია 2016-2017 წლებში სტიქიის შედეგად დაზარალებულ 46 ოჯახს. შეძენილ იქნა სახურავის მოსაწყობი მასალები ჯამური ღირებულებით 154 377 ლარი.

მიმდინარეობს სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების (105 ოჯახი) სახურავის მოსაწყობი მასალების შესყიდვა ღირებულებით 300 000 ლარი.

სტიქიის შედეგად დაზიანებული (დაღვარული) გზების შესაკეთებლად შეძენილი იქნა მასალები (მზა ბეტონი მ-300-1 683 კუბური მეტრი 215 040 ლარი და 131 კვ. მეტრი 44 467 ლარის მავთულბადე, რომლითაც მოეწყო 4 200 გრძივი მ. რკინა-ბეტონის გზა.

იგეგმება ნაპირასამაგრი სამუშაოები.

დაგეგმილია სხვადასხვა შენობა-ნაგებობის: ნატანებში საცხოვრებელი სახლის, შრომაში ადმინისტრაციული შენობის, ნაღობილევში - საბავშვო ბაღის, მზიანის კულტურის სახლის, გრიბოდოვის N21-ში მდებარე სახლების სახურავების მოწყობა.

სხვადასხვა კორპუსში წყალშემკრები მილების რეაბილიტაცია. ბაზვში ყოფილი ჩაის ფაბრიკის 4 საცხოვრებელი სახლის და ინდივიდუალური სახურავების სარეაბილიტაციო სამუშაოები ჯამური ღირებულებით 466 530 ლარი.

დასრულდა სოფელ კონჭკათში „სუსკურას“ უბანში ჩამოშლილი გზის აღდგენითი სამუშაოები ღირებულებით 10 225 ლარი.

მოეწყო სოფელ თხინვალისა და სოფელ ნატანების დამაკავშირებელ საავტომობილო გზის დამეწყრილი მონაკვეთის გზა ღირებულებით 42 806 ლარი. ეს მოსახლეობისთვის მრავალწლიან პრობლემას წარმოადგენდა.

დასრულდა სოფელ თხინვალში შიდა საუბნო გზებზე ბეტონის საფრისა და ღვარსადენის მოწყობის სამუშაოები, რაზეც ჯამში დაიხარჯა 219 148 ლარი;

სოფლებში ბეტონის გზების მოსაწყობად შეძენილია მავთულბადეები.

ხანძრის შედეგად დაზარალებულებისთვის დაბა ლაითურში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი შენდება ღირებულებით 205 798 ლარი.

მერია შოთაძეების და დარჩიების სოციალურად დაუცველ ოჯახებს ახალ სახლებს უშენებს.

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში ჩატარდა რთული საგზაო მონაკვეთების მოხრეშვა-დაგრეიდერების სამუშაოები.

დამტკიცდა კურორტ გომის მთის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა.

✓ სატრანსპორტო პოლიტიკა

სატრანსპორტო სისტემის მოწესრიგებისთვის და ქალაქის საცობებისგან განსატვირთად შევიმუშავეთ პარკინგის წესი და რეგულაციები.

მერიის მიერ ინიცირებული პროექტის მთავარი მიზანია პარკირების ისეთი ადეკვატური შეზღუდვის დაწესება, რომელიც უზრუნველყოფს პარკირების ზონის მინიმუმ 10%-ით განტვირთვას.

წესი ვრცელდება ყველა იმ სატრანსპორტო საშუალებაზე, რომელიც ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ჩერდება ან დგას.

წესის შესაბამისად განისაზღვრა პარკირების ზონები და დადგინდა შესაბამისი საფასური.

შეიქმნა ა.ა).ი.პ. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის პარკირების მართვის ცენტრი,“ რომელიც პარკინგის ადგილების კონტროლს უზრუნველყოფს.

ა.(ა)ი.პ. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მომსახურების ცენტრთან“ კოორდინირებული მუშაობით, ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე ტრანსპორტისა და საზოგადოებრივი მომსახურების გაუმჯობესებისათვის, ზედამხედველობის სამსახურთან ჩართულობით შემუშავდა ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებელი საგზაო-სატრანსპორტო ნიშნების მოწყობის სქემები, რომელიც მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ დაფინანსდა 229 918 ლარით. სამუშაოები შპს "გზაჯვარედინმა" შეასრულა, პროექტის ფარგლებში გაბრიელ ეპისკოპოსისა და ვიქტორ დოლიძის ქუჩების კვეთაში დასრულდა შუქნიშნის მონტაჟი.

დასრულდა 605 საგზაო ნიშნისა და 40 კმ. სიგრძის ჰორიზონტალური მონიშვნის ზოლების მოწყობა. რაც მნიშვნელოვნად მოაწესრიგებს საგზაო მოძრაობას ქალაქის ქუჩებში. გარდა ამისა, იგეგმება ასევე საგზაო ნიშნებისა და ჰორიზონტალური მონიშვნის ზოლების მოწყობა ქალაქის სხვა პერიფერიულ ტერიტორიებზე.

სოფელ შემოქმედში (კვირიკეთი) მიმდინარეობს იპოდრომის მოწყობა.

დასრულდა ქალაქ ოზურგეთში, გრიბოედოვის ქუჩის პირველ შესახვევში ასფალტობეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები ღირებულებით 8 192 ლარი.

აჭარა-გურიის საზღვარზე საგზაო მანიშნებლისა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები ხორციელდება ღირებულებით - 59 899 ლარი.

ჭავჭავაძის ქუჩაზე დასრულდა სკვერის სარეაბილიტაციო სამუშაოები (ღირებულება 53 800 ლარი).

ოზურგეთში, გამსახურდიას ქუჩის მე-3 ჩიხში N6-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები ღირებულებით 34 525 ლარი.

დასრულდა სოფელ ნატანებში "კაპროვანის" ტერიტორიაზე გზის რეაბილიტაციის სამუშაოები ღირებულებით 309 080 ლარი.

განხორციელდა ოზურგეთიდან ადმინისტრაციული ერთეულების ცენტრებამდე დამაკავშირებელი გზების აღდგენითი სამუშაოები - ღირებულებით 18 179 ლარი.

მიმდინარეობს ოზურგეთის ქუჩების გზის საფარის ორმული შეკეთების სამუშაოები სახელმეკრულებლო ღირებულებით 44 839 ლარი.

განახლდა პარკის ინფრასტრუქტურა.

დამზადდა 36 ერთეული საბავშვო ბაღში ჩასატარებელი სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია ღირებულებით 254 485 ლარი. სარეაბილიტაციო სამუშაოები დაწყებულია.

მიმდინარეობს ტენდერი საჯარო სკოლების (ნასაკირალის, მაკვანეთის, ნარუჯისა და ბახვის) სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩასატარებლად, რომელთა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ჯამური ღირებულება შეადგენს 263 087 ლარს.

ინფრასტრუქტურული პროექტების ნაწილი დასრულებულია, ნაწილი წლის ბოლომდე დასრულდება.

ინფრასტრუქტურული ობიექტების რეაბილიტაციის მიზნით მომზადდა საპროექტო წინადადებები და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტების შედგენა.

ქალაქ ოზურგეთში, კოსტავას ქუჩაზე მდებარე კულტურისა და დასვენების პარკის სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის გამოიყო 38 550 ლარი. ხოლო უსახური შენობა-ნაგებობის სამი ერთეული დემონტაჟის სამუშაოების ჩასატარებლად 12 560 ლარი.

იგეგმება: სოფელ ოზურგეთის ტერიტორიაზე კულტურის სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ცხემლისიხიდი-ვაკიჯვრის გზიდან ბაღდადის ეკლესიამდე დამაკავშირებელი 1 662 გრძ.მ გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

მომზადდა დაბა ნარუჯის გავლით, დაბა ლაითურის ცენტრთან დამაკავშირებელი საავტომობილო 7 280 გრძ.მ გზის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, რომელიც გადაეგზავნა მუნიციპალური განვითარების ფონდს.

ოზურგეთი-ნატანები-ურეკის შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზიდან, სოფ ხვარბეთის გავლით კონჭკათის (კატისციხე) საზღვრამდე დამაკავშირებელი 4 868 გრძ.მ გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩასატარებლად მომზადდა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

მომზადდა ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის შენობის რეაბილიტაციის პროექტი.

დასრულდა მდ. ნაბჟუარაზე სტიქიის მიერ დაზიანებული კედლისა და ხიდის სამაგრი ბოძების გამაგრების სამუშაოების ჩასატარებლად საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება.

ოზურგეთის სასპორტო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია - ღირებულებით 77 504 ლარი.

შევისყიდეთ სოფელ ბოხვაურში (ჭალის ტერიტორია) მდებარე მთავარანგელოზის სახელობის ეკლესიის ნაშთის სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩასატარებლად, საძირკველისა და მიმდებარე გრუნტის მდგომარეობის შესწავლის მიზნით საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის მომსახურება.

2019 წელს იგეგმება შემოქმედელის, გურიელის, ჰუმკინის, შევჩენკოს, ანდლულაძის ქუჩების რეაბილიტაცია, გრიბოედოვის ქუჩაზე სკვერის კეთილმოწყობის სამუშაოები,

გურამიშვილის N7-ში მდებარე საცხოვრებელი კორპუსის ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები, თენიეშვილის N4-ში მდებარე საცხოვრებელი კორპუსის ეზოს და ქუჩის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა და თენიეშვილის N6-ში მდებარე საცხოვრებელი კორპუსის ეზოს წყლის სისტემის რეაბილიტაცია.

✓ წყალმომარაგება

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ერთეულების ლაბორატორიულად შემოწმებული ხარისხიანი სასმელი წყლით უზრუნველყოფას წყალმომარაგების კომპანია შპს „სატისი“ ახორციელებს.

კომპანიის 2018 წლის ბიუჯეტი შეადგენს 420 000 ლარს.

აღნიშნული თანხის ფარგლებში 2018 წელს სოფელ ნატანებში შეიცვალა ჭაბურღილის ტუმბო. ახალშენის დასახლებაში დამონტაჟდა უმაღლესი ხარისხის წყლის მილები სიგრძით 2 700 გრძივი მეტრი, ასევე მოსახლეობაში გადამყვანი 36 კვანძი.

2018 წლის აგვისტოს თვეში კურორტ გომისმთაში წყალმომარაგების გაუმჯობესების მიზნით მოეწყო 9 საუბნო ონკანი. დამონტაჟდა კილომეტრნახევარი სიგრძის მილი.

დაბა ლაითურში მუნიციპალური განვითარების ფონდის მხარდაჭერით მიმდინარეობს წყალსადენის სისტემების სრული რეაბილიტაცია, პროექტი 950 ოჯახის 24 საათიან წყალმომარაგებას ითვალისწინებს.

შესყიდული იქნა სოფელ ჯუმათის, სოფელ მთისპირისა და დაბა ნასაკირალის სათავე ნაგებობების სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტები.

ტექნიკური სამსახურის მიერ კომპანიის ბალანსზე რიცხულ წყალმომარაგების ქსელზე აღმოფხვრილი იქნა 164 დაზიანება.

სამსახურის მიერ მიმდინარეობს კომპანიის ბალანსზე რიცხული სოფლების ბილინგის ბაზის მომზადება.

2018 წელს კომპანიის მიერ მიმდინარე პროექტებისთვის შესყიდულ იქნა 6 557 ლარის ღირებულების საჭირო მასალები.

შემძენილი და დასაწყობებულია 39 795 ლარის ღირებულების ინვენტარი.

კომპანიის ძირითადი აქტივების ჯამური ღირებულება შეადგენს 3 749 178 ლარს. კომპანიის თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი ლაბორატორიის მიერ სათავე ნაგებობაზე, ასევე გამანაწილებელ ქსელში ჩატარდა წყლის ხარისხის კვლევა სულ 45 ანალიზი. პერმანენტულად მოწმდება წყლის დაქლორვის ხარისხი და ქიმიური მაჩვენებლები.

✓ მყარი ნარჩენების მართვა

სუფთა გარემო ჩვენი არჩევანია. მუნიციპალიტეტში ეკოლოგიურად სუფთა გარემოს შექმნა-შენარჩუნებაზე პასუხისმგებელი ორგანიზაციაა ა.(ა)ი.პ. „მუნიციპალური მომსახურების ცენტრი.“

ა(ა)ი.პ “ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მომსახურების ცენტრის“ 2018 წლის ბიუჯეტი შეადგენს 1 913 561 ლარს, რომლის ფარგლებშიც ორგანიზაცია საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებს შემდეგ სამუშაოებს: ყოველდღიურად იგვება ქალაქის 30 ქუჩა და საბავშვო ბაღების მიმდებარე ტერიტორიები. სულ 300 000 კვადრატული მეტრი ფართობი.

ყოველდღიურ რეჟიმში ხორციელდება ქალაქის ტერიტორიაზე განთავსებული სანაგვე ურნების და მისი მიმდებარე ტერიტორიების დაცლა-დასუფთავება.

ეტაპობრივად იგვება და სუფთავდება ქალაქის სავტომობილო გზები და სოფლის ცენტრები, ასევე დაბა ურეკის ცენტრალური ქუჩები. საკურორტო სეზონის დროს ხორციელდება სანაპირო ზოლის ინტენსიური წმენდა. აღნიშნულ სამუშაოებს ემსახურება 8 ერთეული თვითმცველი ნაგავმზიდი, 2 ერთეული საცერი და 4 ერთეული თვითმცველი ტრაქტორი.

1 ნოემბრის მდგომარეობით მერიის ნაგავსაყრელ კარიერზე გადაზიდული იქნა 9 432 ტონა ნარჩენი. 2018 წელს დამატებით შემოტანილია 496 ერთეული ნაგვის ურნა, რომლითაც ჩანაცვლდა 250 -ზე მეტი ძველი, ამორტიზირებული ურნა. ხოლო დანარჩენი დამატებით დანთავსდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ერთეულებში.

ცენტრის მიერ საშემე მერქნად დამუშავებული იქნა 2 87მ² ამორტიზირებული და სტიქის შედეგად მოთხრილი ხეები. შეეთერდა 3 000 ერთეული ხე. ჩატარდა გამწვანების სამუშაოები. სხვადასხვა დავადების პრევენციის მიზნით აგროტექნიკურად დამუშავდა მცენარეები შხამქიმიკატებით.

გაიცვალა და დასუფთავდა 57 სასაფლაო და 7 ქუჩა.

ეკლიანი მართულით შეიღობა ექადის სასაფლაო. მობილური ჯგუფის მიერ სისტემატიურად ხდება ქალაქის ტერიტორიაზე გამდინარე მდინარეების კალაპოტისა და სანიაღვრე არხების განმენდა -გასუფთავება.

კეთილმოწყობის განყოფილების მიერ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტარდება სხვადასხვა სარემონტო სამუშაოებები.

გარე განათების განყოფილების მიერ სისტემატიურად მიმდინარეობს გარე განათების სისტემის რეაბილიტაცია-მონტაჟი.

✓ ეკონომიკის განვითარება, სოფლის მეურნეობა, ტურიზმი

მუნიციპალიტეტის შემოსავლების ზრდა და ისეთი აქტუალური პრობლემის გადაჭრა, როგორცაა უმუშევრობა, წარმოუდგენელია ეკონომიკის განვითარების გარეშე, ეკონომიკის განვითარება - მრეწველობის გარეშე, მრეწველობა-სოფლის მეურნეობის განვითარების გარეშე.

სამსახურმა მიმდინარე წელს განახორციელა პროექტი, რომელიც ინოვაციური კულტურის, „სტევიას“ გავრცელება-პოპულარიზაციას ითვალისწინებს.

ოზურგეთის 4 სოფელში: სოფელ ოზურგეთი, გურიანთა, ლიხაური, დაბა ნარუჯა შეიქმნა სადემონსტრაციო ნაკვეთები, სადაც 44 ბენეფიციარს დაურიგდა „სტევიის“ ნერგები და გაეწია საჭირო კონსულტაციები.

„სტევია“ ბუნებრივი დამატკბობელია და გამოიყენება, როგორც სამედიცინო პროფილაქტიკური, ისე კულინარიული მიმართულებით.

სოფლის მეურნეობის განყოფილების სამუშაო გეგმის მიხედვით ნარგავები სხვა ტერიტორიულ ერთეულებშიც გავრცელდება.

თხილის დარგის განვითარების მიზნით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც 2019 წელს შემდეგი სახის ღონისძიებებს განახორციელებს.

სოფლებში დაინტერესებული პირები გადამზადდებიან მეთხილეობაში გასატარებელი აგროტექნიკური და აგროქიმიური ღონისძიებების მიმართულებით.

მოეწყობა სადემონსტრაციო ნაკვეთები, სადაც ჩატარდება წესებით გათვალისწინებული ყველა აგროღონისძიება;

სურსათის ეროვნულ სააგენტოსთან ერთად მოხდება შესაწამლი პრეპარატების ხარისხის კონტროლი;

მუნიციპალიტეტს გააჩნია რესურსი იქცეს ეკოპროდუქტების მწარმოებელ ლოკაციად, რათა მოხდეს ადგილობრივი წარმოების წახალისება.

ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების წარმოების პერსპექტივებთან დაკავშირებით გაიმართა კონფერენცია სახელწოდებით „ორგანული სოფლის მეურნეობა და ეკო პროდუქტები“, რომელშიც მონაწილეობა თვითმმართველობისა და სამეცნიერო წრეების წარმომადგენლებმა, ასევე ადგილობრივმა ფერმერებმა და მეწარმეებმა მიიღეს.

31 აგვისტოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის ორგანიზებით სასტუმრო „სემის“ საკონფერენციო დარბაზში მეწარმე ქალთა ეკონომიკური ფორუმი მოეწყო. ფორუმის სლოგანი იყო „წარმატებული ქალი - ძლიერი რეგიონი.“ ფორუმის მიზანს ქალ მეწარმეთა გააქტიურება და რეგიონის ეკონომიკურ ცხოვრებაში მათი ჩართულობის გაზრდა წარმოადგენდა.

ქალთა ეკონომიკურ ფორუმში მონაწილეობა 50-მა მეწარმე ქალმა მიიღო, როგორც სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება-გადამუშავების, ასევე მომსახურების სხვადასხვა სფეროდან.

მიმდინარე წელს გამოიცა “გურული ტრადიციული მევენახეობის” საინფორმაციო ლიფლეტი, რომელიც გურიის მევენახეობის ისტორიას, ტრადიციებს და ასოციაცია “გურული ვაზის” საქმიანობას მოიცავს.

„მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის საკვებით უზრუნველყოფის“ - მიზნით ლაითურში სპეციალურად შერჩეულ ნაკვეთზე სიმინდი დაითესა.

ნაკვეთიდან სილოსის დასამზადებლად აღებული იქნა მოსავლის ნაწილი, რომელიც ზამთრის პერიოდში გამოყენებული იქნება პირუტყვის გამოსაკვებად.

სასილოსე მასის აღების შემდეგ ფართობზე დაითესა საქონლის საკვები ჭარხალი, რომელიც უხვმოსავლიანობითა და ყუათიანობით გამოირჩევა.

გატარებული ღონისძიებით მიღებული შედეგი სანიმუშო მაგალითია იმისა თუ როგორ შეიძლება ერთი და იმავე ფართობიდან წლის განმავლობაში ორი სხვადასხვა კულტურის მოსავლის მიღება და მიწის რაციონალურად გამოყენება.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადარჩენილია 895 ერთეული „კოლხური ბზა.“ მცენარეებზე დაკვირვების პროცესში აღმოჩენილი დაავადებები (ბზის ალურა და დამწვრობა) დაუყოვნებლივ ეცნობა სურსათის ეროვნულ სააგენტოს და მიღებული რეკომენდაციების შესაბამისად ბუების შეწამლვითი ღონისძიებები განხორციელდა.

სახელმწიფო პროგრამის „კენკროვანი კულტურების დაფინანსების ქვეკომპონენტის“ გაცნობის მიზნით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ერთეულებში დაინტერესებულ მოსახლეობასთან შეხვედრები ჩატარდა.

პროექტი ითვალისწინებს კენკროვანი კულტურების ბაღის გაშენებისთვის საჭირო ნერგების, წვეთოვანი სარწყავი სისტემის და სხვა საჭირო მასალების შეძენისა და მოწყობის ღირებულების დაფინანსებას. შეხვედრა უკვე 19 ტერიტორიულ ერთეულში შედგა და წლის ბოლომდე ყველა სოფელში გაიმართება.

გაწეული მუშაობის შედეგად ანასეულის სამეცნიერო კვლევით ცენტრს ნიადაგის ანალიზის ჩატარებისთვის განცხადებით უკვე 50-მდე პირმა მიმართა.

„გურიის ჩაის გზა“ ეკონომიკური განვითარების სამსახურის ახალი პროექტია, რომლის მიზანია: ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავლების და დასაქმების ზრდა აგროტურიზმის განვითარების გზით.

ერთის მხრივ, მაღალი კონკურენცია და შეზღუდული წარმოება ადგილობრივი ჩაის მწარმოებლების ძირითადი პრობლემაა, მეორეს მხრივ, რეგიონის ტურისტებისათვის საინტერესოა ადგილობრივი წარმოების პროცესის გაცნობა და ნატურალური ჩაის პროდუქციის მოხმარება.

პროექტის განხორციელების პროცესში ჩაერთვება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია და ასოციაცია “ელკანა“, რაც პროექტის განხორციელებას მეტად შედეგიანს გახდის.

კურორტ ნასაკირალის რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში საინვესტიციო პროექტი მზადდება.

განხორციელდა ჭაბურღილების გაწმენდა, რის შემდეგაც გაიზარდა წყლის მიღების დებეტი. მიმდინარეობს ტერიტორიის დასუფთავებისა და გამწვანების სამუშაოები.

აღდგენა-რეაბილიტაციის შემდეგ კურორტი ნასაკირალი ყოველწლიურად 5000 ადგილობრივი და უცხოელი ვიზიტორის მიღებას შეძლებს.

აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის კამპანიის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი სახის ღონისძიებები:

პროექტის ფარგლებში „მოიზიდე და მოკალი“ სურსათის უვნებლობის ეროვნული სააგენტოს გურიის ორგანიზაციასთან თანამშრომლობით მუნიციპალიტეტის ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში სატყუარა ფერომონები დამონტაჟდა, რის შედეგადაც გასულ წელთან შედარებით, მავნებლის რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განყოფილების თანამშრომლების ჩართულობით ფაროსანასთან ბრძოლის საშუალებების გამოყენებით სიმინდის ნათესების დამუშავების სამუშაოები განხორციელდა.

✓ კურორტები და ტურიზმი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტი ფლობს უნიკალურ კურორტებს ზღვისპირეთსა და ალპურ ზონაში, რაც საშუალებას იძლევა ზამთარ-ზაფხულ ვუმასპინძლოთ ადგილობრივ და უცხოელ დამსვენებელს. ამისთვის მუნიციპალიტეტმა ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტად ტურიზმის განვითარება დაისახა, კერძოდ, კურორტ გომისმთისა და ურეკის ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობა, რათა ისინი მეტად მიმზიდველი გახდეს ვიზიტორებისთვის. საჭიროა სარეკლამო კამპანიის ევროსტანდარტების დონეზე განხორციელება, რათა მაქსიმალურად მოვიზიდოთ ტურისტები საზღვარგარეთიდან.

2018 წლის მაისში ტურიზმის განყოფილების ჩართულობითა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით სოფელ შემოქმედში ექსტრემალური კაიაკინგის რიგით მესამე ჩემპიონატი ჩატარდა, სადაც მონაწილეობა მსოფლიოს 9 ქვეყნის ასამდე მონაწილემ მიიღო.

მიმდინარე წელს აჭარა-გურიის რეგიონში ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, კურორტ გომისმთაზე საქართველოს ოფროუდის ფედერაციის ორგანიზებით, ექსტრემალური სანახაობა „ჯიპ-ტური“ გაიმართა.

აღნიშნულ ღონისძიებაში 10 სხვადასხვა ქვეყნის სპორტსმენი და საქართველოს ოფროუდის ფედერაციის რეგიონალური წარმომადგენლობა მონაწილეობდა.

2018 წელს საქართველოს ოფროუდის ფედერაციას გურიის ორგანიზაციაც შეუერთდა;

ტურიზმის განყოფილების მიერ მომზადდა მუნიციპალური პროექტი - რომელიც მიზნად ისახავს გურიის ტურისტული ღირსშესანიშნაობებით ვიზიტორების დაინტერესებას.

პროექტის ფარგლებში შემუშავდა ტურისტული პაკეტი, მოეწყო ინფოტური და დაიბეჭდა სარეკლამო მასალები, რომლებიც სასტუმროებში გავრცელდა.

აღნიშნული პაკეტი მოიცავდა ვიზიტს ანასეულის ჩაისა და არყის საწარმოში, ვაკიჯვრის საკალმახე მეურნეობაში, კურორტ გომისმთაში, ასევე ეკლესია-მონასტრების მონახულებას, გურული თაფლის დეგუსტაციასა და გურული ფოლკლორის გაცნობას.

პროგრამის ფარგლებში 2018 წელს ურეკიდან 500-მდე ვიზიტორი გვსტუმრობდა.

აპრილსა და მაისში ტურიზმის განყოფილებამ საქართველოს ბაზარზე ცნობილი ტურისტული კომპანიების ხელმძღვანელების, ჟურნალისტებისა და ფოტოგრაფებისთვის საინფორმაციო ტური ჩაატარა.

ღონისძიება მიზნად ისახავდა გურიის ტურისტული პოტენციალის ცნობადობის გაზრდასა და პოპულარიზაციას.

2018 წლის 12-14 აპრილს გამოფენების ცენტრმა „ექსპო ჯორჯიამ“ მე-20 საერთაშორისო ტურისტულ გამოფენას- Caucasus Tourism Fair-ს უმასპინძლა.

გამოფენის მიზანს რეგიონების ტურისტული პოტენციალის წარმოჩენა წარმოადგენდა, რისთვისაც ყოველწლიურად ეწყობა რეგიონული სტენდები ფოტოსურათებითა და ვიდეო მასალით.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარეობს არსებული საწარმოების საქმიანობის აღრიცხვის პროცესი, დღეისთვის პირდაპირი ინტერვიუს გამოყენებით მოხდა 30-მდე საშუალო და მსხვილი საწარმოს შესახებ ინფორმაციის შეგროვება და ინგლისურ ენაზე თარგმნა. შესწავლის პროცესი დასრულდება 2019 წლის მარტის თვეში.

დაგეგმილია ოზურგეთის საინვესტიციო კატალოგის გამოცემა, რაც კიდევ უფრო გაზრდის ადგილობრივი წარმოების ცნობადობას.

✓ ბიუჯეტი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 12 იანვრის №1 დადგენილებით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა 18 619 000 ლარით.

ჩემთვის, როგორც მუნიციპალიტეტის მერისთვის ბიუჯეტის შემოსულობების ზრდა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პროექტების განსახორციელებლად ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია.

თქვენ, როგორც ამომრჩევლებს გაქვთ უფლება ფლობდეთ ამომწურავ ინფორმაციას ბიუჯეტის შესახებ და უფრო მეტიც, მონაწილეობას იღებდეთ მის ფორმირებაში.

2018 წლის III კვარტლის განმავლობაში დამტკიცებულ ბიუჯეტში განხორციელდა 4 ცვლილება, რაც განპირობებული იყო საქართველოს მთავრობის მიერ ოზურგეთის მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი თანხების ბიუჯეტში ასახვით, რომლებიც ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისა და სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსებას შეეხებოდა.

წლის დასაწყისიდან მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გაიზარდა 14 514 500 ლარით.

ამდენად ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, 2018 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით ბიუჯეტი განისაზღვრა 33 133 500 ლარით.

✓ ბიუჯეტის შემოსულობები

ჩვენი ბიუჯეტის შემოსულობების დიდ ნაწილს სახელმწიფო ბიუჯეტიდან 2018 წელს მიღებულმა ტრანსფერებმა და გრანტებმა ჯამში 19 015 600 ლარი შეადგინა. მათ შორის:

გათანაბრებითი ტრანსფერი - 9 301 000 ლარი;

მიზნობრივი ტრანსფერი - 253 000 ლარი;

კაპიტალური ტრანსფერი - 7 550 500 ლარი;

სპეციალური ტრანსფერი - 1 900 000 ლარი;

სხვა გრანტი - 11 100 ლარი;

წინა წლის (ჩვენი ბიუჯეტის ანგარიშზე ამ პერიოდისთვის არსებული ფულადი სახსრები, რომლებიც წინა წლის ვალდებულებებიდან გადმოვიდა) - ნაშთი შეადგენს 4 482 519 ლარს;

გადასახადები - 6 350 000 ლარი;

არაფინანსური აქტივები - 250 000 ლარი;

სხვა შემოსავლები 3 035 400 ;

თქვენთვის, როგორც ამომრჩევლებისთვის ყველაზე საინტერესო და აქტუალური საკითხია მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი, რომელიც შეადგენს **33 133 500** ლარს.

✓ 2018 წლის ბიუჯეტის ხარჯები

ინფრასტრუქტურა - 52,42 %, ადმინისტრაციული ხარჯები - 13,5 %, სკოლამდელი აღზრდა და ზოგადი განათლება - 10,56 %, კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები - 10,9 %, მუნიციპალური მომსახურება - 6,34%, სოციალური - 4,78 %, თავდაცვა - 0,45 %, სარეზერვო ფონდი - 1,05 %.

მუნიციპალიტეტის მერის სარეზერვო ფონდი წლის მდგომარეობით შეადგენს ბიუჯეტის 1,05 %-ს. სარეზერვო ფონდიდან უშუალოდ ჩემი გადაწყვეტილებით 860 ოჯახს გაეწია ფინანსური დახმარება სოციალური, ინფრასტრუქტურული და საგანმანათლებლო საჭიროებებისთვის.

მუნიციპალიტეტში 2015 წლიდან მოქმედებს ელექტრონული ბიუჯეტირების პროგრამა, რომლის ძირითადი უპირატესობა ტრადიციული ორგანიზაციული სტრუქტურის მქონე ბიუჯეტთან შედარებით იმაში მდგომარეობს, რომ საშუალებას იძლევა იყოს შედეგზე ორიენტირებული.

აღმასრულებელმა ორგანომ საკრებულოს უკვე წარუდგინა 2019 წლის ბიუჯეტის პროექტი, რომელიც 24 186 800 ლარით განისაზღვრა.

✓ მმართველობის პოლიტიკა - მოქნილი მმართველობის სისტემა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიაში დღეის მდგომარეობით დასაქმებულია 223 თანამშრომელი.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით და მერიის დებულების შესაბამისად შემუშავდა, სტრუქტურული ერთეულების, განყოფილებების, მოხელეების მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიშების სისტემა.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პროფესიულ საჯარო მოხელეთა შუალედური და საბოლოო შეფასების საკითხებს, სამუშაოთა აღწერილობების მიხედვით განისაზღვრა თითოეული მოხელისთვის მისადაგებული კომპეტენციები და უნარები. მუნიციპალიტეტის

მერიაში სისტემატიურად მიმდინარეობს მოსამსახურეთა პროფესიული დონის ანალიზი, კადრების საჭიროებათა შესწავლა და საკადრო რესურსების გამოყენების ოპტიმიზაციის მიზნით სათანადო წინადადებების მომზადება, მათი გადამზადების, კვალიფიკაციის ამაღლების ორგანიზება.

მუნიციპალიტეტის მერიაში დოკუმენტბრუნვა საქმისწარმოების ელექტრონული სისტემით ხორციელდება. ადმინისტრაციული, მონაწილეობითი დაგეგმვისა და კომუნიკაციის სამსახურის საქმის წარმოების განყოფილების მიერ საანგარიშო პერიოდში 2017 წლის 29 ნოემბრიდან დღემდე რეგისტრაციაში გატარდა: სახელმწიფო კანცელარიიდან, საქართველოს პარლამენტიდან, სამინისტროებიდან, დეპარტამენტებიდან და სხვადასხვა ორგანიზაციებიდან შემოსული 10 442 კორესპონდენცია, მუნიციპალიტეტის მერიაში შემოვიდა 9 359 მოქალაქის განცხადება. დოკუმენტბრუნვის ასეთი ინტენსიური მოძრაობის მიუხედავად მერიაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოსახლეობასთან ცოცხალ ურთიერთობებს და საქმიან კომუნიკაციას.

ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია მერიაში ყოველ ოთხშაბათს, 10 საათიდან მოქალაქეთა მიღების ორგანიზება, მათ მიერ დასმული საჭირობოროტო საკითხების შესრულების სისტემატიური შემოწმება და ინფორმირების უზრუნველყოფა. მოიხსნა მოქალაქეებთან უშუალო კომუნიკაციის ბარიერები, რამაც პრაქტიკულად ყოველდღიური გახდა მერიის თანამდებობის პირთა შეხვედრები მოსახლეობასთან, რაც დასმული საკითხების ოპერატიულად გადაწყვეტის წინაპირობა გახდა. საანგარიშო პერიოდში მერიაში სხვადასხვა თანამდებობის პირთა მიერ მიღებული იქნა და სათანადო დახმარება გაეწია 3 000-ზე მეტ მოქალაქეს.

საგანგებო ყურადღება ექცეოდა მუნიციპალიტეტის მერიის უფლებამოსილების განხორციელებას 29 ადმინისტრაციულ ერთეულში, როგორც წესი, თვეში ერთხელ მაინც იმართებოდა საქმიანი შეხვედრები ადმინისტრაციული ერთეულების ხელმძღვანელებთან, მერიის წარმომადგენლებთან მათთვის საინტერესო საკითხებზე, არსებულ პრობლემებზე, მათი გადაჭრის გზებზე.

საანგარიშო პერიოდში კიდევ უფრო ქმედუნარიანი და საინტერესო გახდა სტატისტიკისა და ადგილობრივი არქივის განყოფილების საქმიანობა. სამუშაო გეგმისა და წინასწარ შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად ხდება მერიის სტრუქტურული ერთეულებისაგან საარქივო დოკუმენტაციის მიღება-ჩაბარება. არქივის დალაგება-დახარისხება და დოკუმენტების შერჩევა მუდმივი, ხანგრძლივი და დროებითი შენახვისთვის.

ზემოთხსენებული განყოფილების მეშვეობით კანონის სრული დაცვით ხდება მერიის მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემის ორგანიზება. საანგარიშო პერიოდში გაცემულია 150 (ას ორმოცდაათი) საჯარო ინფორმაცია, მოთხოვნებისა და ვადების სრული დაცვით. ამასთან გვაქვს 21 (ოცდაერთი) შემთხვევა, როდესაც საჯარო ინფორმაციის გაცემის გადავადება

მოხდა მოქალაქეთა პერსონალური მონაცემების გამჟღავნების თავიდან აცილებისა და შრომატევადი სამუშაოს მოცულობის გამო. სამწუხაროდ, გვაქვს არა ერთი შემთხვევა, როდესაც საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა ხდება ამკარა პროვოკაციისა და ცილისწამებლური პოლიტიკის გატარებისთვის.

✓ სოციალური პროგრამები

მოსახლეობის სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მერია არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოციალური და ჯანდაცვის საკითხთა სამსახურის 2018 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა 1 585 000 ლარით.

სოციალური და ჯანდაცვის საკითხთა სამსახური 19 სახის პროგრამას ახორციელებს:

1. მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა.
2. დედ-მამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ერთჯერადი დახმარების პროგრამა.
3. მოქალაქეთა სამედიცინო დახმარების პროგრამა.
4. „C“ ჰეპატიტით დაავადებულ პირებში მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრისათვის საჭირო კვლევების დაფინანსების პროგრამა.
5. თირკმლის უკმარისობით დაავადებულ პირთა დახმარების პროგრამა.
6. ლეიკემიით და ონკოლოგიური დაავადების მქონე პირთა დახმარების პროგრამა.
7. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარების პროგრამა (დღის ცენტრის თანადაფინანსება)
8. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა.
9. სარიტუალო დახმარების პროგრამა. (ომის ვეტერანები და უპატრონო მიცვალებულების დახმარება).
10. სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დახმარებისა და უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების ბინის ქირით უზრუნველყოფის პროგრამა:

11. ძვირადღირებული კვლევის (კომპიუტერული ტომოგრაფია) ერთჯერადი დაფინანსების პროგრამა. 12. სოციალურად შეჭირვებულ ოჯახებში ახალშობილის (ნულიდან ერთ წლამდე) მოვლისათვის საჭირო საგნებისა და საკვების შეძენისთვის ყოველთვიური დახმარების პროგრამა. 13. სხვა ფულადი გასაცემლის პროგრამა.

14. დღის ცენტრის დაფინანსების პროგრამა („მომავლის სხივი“)

15. მცირე ტიპის ბავშვთა სახლის თანადაფინანსების პროგრამა.

16. გენდერულ საკითხებთან დაკავშირებული პროექტების ხელშეწყობის პროგრამა.

17. მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა.

18. ხანდაზმულთა სახლისთვის კომუნალური გადასახადებით უზრუნველყოფის პროგრამა.

19. სოციალური ღონისძიებების პროგრამა.

აღნიშნული პროგრამებით ისარგებლა 5 000-ზე მეტმა ბენეფიციარმა.

გახარჯულია 1 087 201 ლარი.

მერის სარეზერვო ფონდი

პროგრამის ბიუჯეტი 350 000 ლარი.

გაცემული თანხა შეადგენს 275 945 ლარს.

ბენეფიციართა რაოდენობა 852.

✓ სოციალური ღონისძიებები

მას შემდეგ, რაც სურსათის უვნებლობის ეროვნული სააგენტოს გურიის ორგანიზაციამ მოქმედი უპოვართა სასადილო რიგი შეუსაბამოების გამო დახურა, მუნიციპალიტეტის მერიამ გამოძებნა ალტერნატიული ფართი, სადაც ბენეფიციარებს ყოველდღიურად უმასპინძლებიან. უპოვართა სასადილო გრიბოედოვის ქუჩის N24-ში სარიტუალო სახლ „ნატალიში“ გადავიდა. სასადილოს ადმინისტრაცია ბენეფიციარებს განახლებულ და მრავალფეროვან მენიუს სთავაზობს. დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. სარიტუალო სახლი „ნატალი“ 170-მდე ბენეფიციარს ემსახურება.

ჩეხური პროექტის „კარტასის“ შინმშობლის პროგრამით დახარჯულია 95 000 ლარი, მინიციპალიტეტის მერიის თანაგადახდა შეადგენს 6 000 ლარს. პროგრამით სარგებლობს 45 ბენეფიციარი.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიაში შეიქმნა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხების შემსწავლელი სათათბირო საბჭო, რომელიც შშმ პირთა ღირსეული

თანაცხოვრებისა და თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფისათვის, აუცილებელი პირობების შექმნის საკითხებს შეისწავლის.

3 მარტი - დედის დღესთან დაკავშირებული ღონისძიებების ფარგლებში მრავალშვილიან ოჯახებს გაეწიათ მატერიალური დახმარება - 3 000 ლარით.

✓ სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა

სკოლამდელი განათლება უმნიშვნელოვანესი ეტაპია ბავშვის განვითარებაში. ბავშვის მრავალმხრივი განვითარებისათვის საჭირო გარემოსა და პირობების შექმნა შესაძლებელია ერთობლივად, მშობლების, ოჯახის, სასწავლო დაწესებულებების, სახელმწიფოსა და სრულიად საზოგადოების მხრიდან. შესაბამისად, თითოეული ჩვენთაგანი სათანადოდ უნდა აცნობიერებდეს ამ სფეროს მნიშვნელობას და ზრუნავდეს ადრეულ ასაკში ბავშვთა განათლებისა და განვითარების ხელშეწყობაზე.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს ა.(ა).ი.პ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრი, რომლის დაქვემდებარებაში არის 43 საბავშვო ბაღი, 807 თანამშრომელი და 2 670 აღსაზრდელი.

ცენტრი თავის საქმიანობას წარმართავს „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

ა.(ა).ი.პ. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ 2018 წლის ბიუჯეტი შეადგენს 3 400 000 ლარს. აქედან სახელფასო ფონდია 2 475 600 ლარი, ბავშვთა კვებაზე გამოყოფილია 1 110 500 ლარი.

უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარე წელს ბაღების თანამშრომელთა ხელფასები გაიზარდა, მათებამ შეადგინა 272 981 ლარი.

ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებს კვების თანამედროვე სტანდარტებისა და რეგულაციების დანერგვას, ბაღები ახალ მენიუზე იქნა გადაყვნილი. კვების თანხამ ერთ ბავშვზე შეადგინა 2 ლარი და 85 თეთრი, (ნაცვლად 2 ლარისა და 40 თეთრისა).

მოწესრიგდა კვების ბლოკი, შეძენილი იქნა 16 900 ლარის ღირებულების 26 მაცივარი, ასევე შეძენილი იქნა ავეჯი, სანიტარულ-ჰიგიენური საშუალებები, საოფისე ტექნიკა, სათამაშოები.

ბაღების ინფრატრუქტურის გაუმჯობესების მიზნით სკოლამდელ დაწესებულებებში ჩატარდა კვლევა. გამოვლენილ ნაკლოვანებებზე შედგა ხარჯთაღრიცხვები. მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გამოცხადდა ტენდერი. ამჟამად 33 სკოლამდელ დაწესებულებაში მიმდინარეობს 254 485 ლარის ღირებულების სარემონტო სამუშაოები.

კაპიტალურად შეკეთდა ქალაქ ოზურგეთის N4 ბაღი, ახალი ბაღი აშენდა დაბა ურეკში, აღნიშნულ ბაღებს დაემატა სააღმზრდელო ჯგუფები.

მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი მიმდინარეობს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტის შესაბამისად. ფუნქციონირებს სასკოლო მზაობის ჯგუფები. ხორციელდება სტანდარტის შესრულების მონიტორინგი.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განსაზღვრულ ვადებში დაიწყო საბავშვო ბაღების მეთოდისტების გადამზადება. აღმზრდელთა პროფესიული განვითარების მიზნით დაფინანსდა სასკოლო მზაობის ჯგუფების აღმზრდელთა ტრენინგი, 64 აღმზრდელმა გაიარა ტრენინგით გათვალისწინებული პროგრამა.

მუნიციპალიტეტის სკოლამდელ დაწესებულებებში დანერგილი ახალი სტანდარტები მოითხოვს შესაბამის ფინანსებს. ამიტომ, 2019 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნება ყველა ის მნიშვნელოვანი საკითხები, რაც გამოვლინდა მუშაობის პროცესში.

✓ კულტურული ღონისძიებები

კულტურული ღონისძიებებისთვის 2018 წელს ბიუჯეტიდან გამოიყო 180 000 ლარი.

აღნიშნული თანხის ფარგლებში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახურის, ასევე ა. (ა) .ი.პ. მოსწავლე ახალგაზრდობისა და სარეკრეაციო დაწესებულებათა გაერთიანების" ორგანიზებით გაიმართა სხვადასხვა ღონისძიებები:

შობის დღესასწაულზე გაიმართა ტრადიციული „ალილოს" მსვლელობა, რომელსაც მუნიციპალიტეტის მერია შეუერთდა და მონაწილეებს ბავშვთა სახლებსა და მოხუცთა თავშესაფრებში გადასანაწილებლად საახალწლო ნობათი გადასცა.

სოფელ დვაბზუში შალვა რადიანის სახელობის ეთნოგრაფიულ მუზეუმში კალანდობის ტრადიციული დღესასწაული ჩატარდა, რომელშიც მონაწილეობდნენ ადგილობრივი ფოლკლორული და ქორეოგრაფიული ანსამბლები.

8 მარტს - დედისა და ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გაიმართა ღვაწლმოსილი, მრავალშვილიანი, სოციალურად შეჭირვებული დედებისა და სხვადასხვა სფეროში მოღვაწე 25 წარმატებული ქალბატონისადმი მიძღვნილი ღონისძიება და დაჯილდოვება.

სოფელ ლიხაურში ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის სახლ-მუზეუმში გაიმართა „პასქის ფესტივალი.“

სოფელ შემოქმედში, ჩატარდა ექსტრემალური კაიაკინგის ევროპის ჩემპიონატი.

26 მაისს - საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლის იუბილე გრანდიოზულად აღინიშნა.

1 ივნისს - ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში კულტურის განყოფილების, სამხატვრო სკოლისა და ა.(ა).ი.პ. „მოსწავლე ახალგაზრდობისა და სარეკრეაციო დაწესებულებათა გაერთიანების“ ორგანიზებით გაიმართა სამხატვრო სკოლის მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა. მონაწილეებს გადაეცათ დიპლომები და ფასიანი საჩუქრები.

14 ივლისს ჩატარდა ნოდარ დუმბაძის სახელობის II საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი. ასევე აღინიშნა ალექსანდრე წუწუნავას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის 150 წლის იუბილე .

ჩატარდა გიორგი სალუქვაძის სახელობის ფოლკლორის მე-9 საერთაშორისო კონკურს-ფესტივალი, როემლშიც ესტონეთის, ლიტვის, ლატვიის, ყაზახეთის, ბელორუსიის, უკრაინის, სლოვაკეთის, ასევე საქართველოს რეგიონების ქორეოგრაფიული ანსამბლები მონაწილეობდნენ.

კურორტ გომისმთაზე ტრადიციული სახალხო დღესასწაული „გომისმთობა“ ჩატარდა.

სოფელ ასკანაში სახალხო დღესასწაული „ასკანობა - 2018“ აღინიშნა.

ოქტომბერში სოფელ ლიხაურში სახალხო დღესასწაული „ექვთიმეობა-2018“ ჩატარდა.

გაიმართა სახალხო დღესასწაული „ალეგროობა-2018“ და რეგიონალური ფოლკლორული ფესტივალი „ფუმეობა.“

ა.(ა).პ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯუმბერ დუნდუას სახელობის ქართული ხალხური ცეკვების სახელმწიფო ანსამბლი "გურია" არაერთი მასშტაბური პროექტის მონაწილეა. ანსამბლი წარმატებულად აგრძელებს ქართული ტრადიციული ცეკვების პოპულარიზაციას.

პროფესიულ კავშირებთან ერთად აღინიშნება ღვაწლმოსილი პედაგოგების საიუბილეო თარიღები.

✓ ზოგადი განათლების ხელშეწყობა

2018 წელს ზოგადი განათლების ხელშეწყობის პროგრამიდან სკოლების კაპიტალურ რემონტისათვის გამოიყო 53 441 - ლარი. სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდა 20 საჯარო სკოლაში.

100 %-იანი გრანტის მფლობელი სტუდენტები დაფინანსდნენ 15 000 ლარით. (თითოეული 3000 ლარით).

დაფინანსებულია 8 სტუდენტის სწავლის საფასური, რომლის ჯამურმა თანხამ შეადგინა 5 875 ლარი.

სამუზეუმო გაერთიანებასთან ერთად განხორციელდა პროექტი „მე ვიცი ჩემი ქალაქის ისტორია“, რომელსაც მიეცა კონკურსის სახე და მოსწავლეებმა პრეზენტაციის სახით წარმოადგინეს საკუთარი ნამუშევრები. ჟიურის მიერ გამოვლენილი გამარჯვებული მონაწილეები დაჯილდოვდნენ ფასიანი საჩუქრებითა და დიპლომებით.

განხორციელდა პროექტი „მოდრავი ბანაკი“, რომელიც მიზნად ისახავდა სოციალურად დაუცველი მოსწავლეებისათვის კულტურულ-შემეცნებითი ტურების მოწყობას.

მერიის ფინანსური მხარდაჭრით ჩატარდა მედია-პროექტ „ეტალონის“ საფინანსო შეხვედრა.

ოზურგეთის მერიამ სხვადასხვა სკოლის წარმატებული მოსწავლე დააჯილდოვა.

დედის დღესთან დაკავშირებით საჯარო და სამრევლო სკოლის დამსახურებულ და მრავალშვილიან ქალბატონებს გადაეცათ ფასიანი საჩუქრები, ასევე მასწავლებლის დღესთან დაკავშირებით საჯარო და სამრევლო სკოლის ახალგაზრდა და ღვალწმოსილი პედაგოგები, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიამ დააჯილდოვა ფასიანი საჩუქრებითა და დიპლომებით.

გენდერულ საკითხთა განყოფილების მიერ დახმარება გაეწია იმ მოქალაქეებს, რომლებმაც განცხადებით მომართეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიას, რის შედეგადაც მათ მიენიჭათ მსხვერპლის სტატუსი და გადაყვანილ იქნენ თავშესაფარში.

თბილისში სასტუმრო „ჰუალინგში“ გაიმართა კონფერენცია თემაზე - გენდერული თანასწორობა ადგილობრივ თვითმმართველობაში - გამოწვევები და შესაძლებლობები, რომელში მონაწილეობაც ოზურგეთის მუნიციპალიტეტმა მიიღო.

სპორტის განვითარება

ოზურგეთში მცხოვრები ნიჭიერი ახალგაზრდების თვითრეალიზაციას და მათ საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართულობას მერიის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილება უზრუნველყოფს.

2018 წელს სპორტისა და ახალგაზრდული განყოფილების ბიუჯეტი 35 000 ლარს შეადგენდა.

მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერითა და სპორტის განყოფილების ჩართულობით ჩატარდა „სასკოლო სპორტული ოლიმპიადა“, რომელშიც მონაწილეობდა 32 საჯარო და 2 სამრევლო სკოლა. მონაწილეებისთვის შეძენილი იქნა ფორმები, ხოლო ოზურგეთის სამკუთხა სტადიონისთვის შეძენილი იქნა ფეხბურთის კარის ბადეები.

ჩატარდა „მოყვარულთა თასი 2018“-ის საფეხბურთო ჩემპიონატი, რომელშიც მუნიციპალიტეტში არსებული სამოყვარულო ფეხბურთის გუნდები ჩაერთვნენ. სპორტისა

და ახალგაზრდულ საკითხთა განყოფილებამ საუკეთესო გუნდებს საჩუქრად პრიზები გადასცა, შეუძინა ბურთები და სხვა სპორტული ინვენტარი.

წახალისებისა და მოტივაციის მიზნით მუნიციპალიტეტის მერია აფინანსებს სპორტული ჯგუფებისა და წარმატებული სპორტსმენების ვიზიტს სხვადასხვა ტურნირსა და შეჯიბრში.

23 სექტემბერს მსოფლიო 43-ე საჭადრაკო ოლიმპიადის ფარგლებში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტმა მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონის ნონა გაფრინდაშვილის თასს უმასპინძლა.

23-30 სექტემბერს, საქართველოს მასშტაბით „ევროპის სპორტის კვირეული“ გაიმართა. პროექტის ფარგლებში სპორტის სხვადასხვა სახეობებში შეჯიბრებები ჩატარდა.

2 ოქტომბერს, ვახტანგ ბლაგიძის სახელობის ოზურგეთის სპორტის სასახლეში სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა განყოფილების, ახალგაზრდული ღონისძიებების პროგრამის ფარგლებში შშმ პირებს შორის სპორტის ოთხ სახეობაში: ჭადრაკში, შაშში, ნარდსა და მკლავჭიდში შეჯიბრება გაიმართა. ჩემპიონატში გამარჯვებულ და მონაწილე ბენეფიციარებს თასები, მედლები და სიგელები გადაეცათ.

27 ოქტომბერს, ოზურგეთის ოლიმპიურ სახლში, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა განყოფილების ორგანიზებითა და სპორტულ-გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანების ჩართულობით, ბერძნულ-რომაული სტილით ჭიდაობაში გამარჯვებულ, ვერცხლისმედალოსან მოჭიდავე გიორგი თოხაძისთვის საზეიმო დახვედრა მოეწყო.

2018 წელს სოფელ მაკვანეთის, ასკანის, მერიის, შრომისა და დაბა ურეკის სტადიონებისთვის შეძენილი იქნა სხვადასხვა სახის სპორტული ინვენტარი, რომლის საერთო ღირებულებამ 800 ლარი შეადგინა.

ახალგაზრდული ღონისძიებების პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების ფარგლებში ჩატარდა ინტელექტ თამაშების ფინალური შეხვედრა. გამარჯვებულ გუნდებს სამახსოვრო საჩუქრები გადაეცათ.

29 სექტემბერს „კულტურისა და დასვენების პარკში“ სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა განყოფილებისა და სტუდენტურ-ახალგაზრდული სათათბირო „ევროკლუბის“ თანამონაწილეობით, გაიმართა ღონისძიება „მაჩვენე შენი კულტურული მემკვიდრეობა და გაჩვენებ ჩემს.“ ღონისძიების ფარგლებში ევროპული და ქართული კერძების გამოფენა მოეწყო და ჩატარდა ინტელექტუალური შეჯიბრი „რა? სად? როდის?“ თემაზე „კულტურული მემკვიდრეობა“.

24-29 ოქტომბერს სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა განყოფილების ახალგაზრდული ღონისძიებების პროგრამის ფარგლებში, ოზურგეთის N1 საჯარო სკოლაში

ჩატარდა „რა? სად? როდის,“ რომელშიც მონაწილეობა მიიღო მუნიციპალიტეტის საჯარო და სამრევლო სკოლის 15-მა გუნდმა.

ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამოცხადდება კონკურსი სახელწოდებით „ჩემი ხმა მუნიციპალიტეტის მერს“, რომელიც მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ახალგაზრდებს შესაძლებლობას მისცემს წარმოაჩინონ პრობლემები, რომელსაც ყოველდღიურად აწყდებიან და საკუთარი ხედვებით დასახონ მათი გადაჭრის გზები.

✓ საერთაშორისო და მუნიციპალიტეტაშორისი თანამშრომლობა

ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სხვადასხვა სფეროში ევროპული სტანდარტების დანერგვას და ევროპული გამოცდილების გაზიარებას.

საერთაშორისო და მუნიციპალიტეტაშორისი თანამშრომლობის მიზნით სამუშაო ვიზიტით 2018 წლის ივლისში ვიმყოფებოდი ალიტუსის რაიონში, კერძოდ ლიეტუაში 7 კაციან დელეგაციასთან ერთად. პროექტის ფარგლებში ვსტუმრობდით საკურორტო ქალაქ ბირშტონასს, რომელიც სამკურნალო წყლებითაა ცნობილი, სადაც ნასაკირალის წყლების განვითარების პერსპექტივებზე და ამ ქალაქის გამოცდილების გაზიარებაზე ვისაუბრეთ.

შევხვდით ალიტუსის მერს ალგირდას ვრუბლიაუსკასს, რომელიც მოგვიანებით ოზურგეთს 6 კაციან დელეგაციასთან ერთად ეწვია.

პროექტს ლიეტუვას საგარეო საქმეთა სამინისტროს დაფინანსებით, ალიტუსის რაიონის ადმინისტრაცია, გურიის გუბერნია და ოზურგეთის მუნიციპალიტეტი ერთობლივად ახორციელებს.

მუნიციპალიტეტის წარმატებით თანამშრომლობს და მჭიდრო კავშირები აქვს გურიის სამხარეო ადმინისტრაციასთან და სხვა მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ადგილობრივ და ცენტრალურ მედიასაშუალებებთან.

✓ დასასრული

ვეცადეთ გადაჭარბების გარეშე გადმოგვეცა ინფორმაცია ჩვენს მიერ 1 წლის განმავლობაში გაწეული საქმიანობის შესახებ.

მინდა მადლიერება გამოვხატო მერიის ყველა თანამშრომლის, ა(ა)ი.პ. ორგანიზაციების ხელმძღვანელებისა და მათი თანამშრომლების მიმართ.

თანადგომისთვის მადლობას ვუხდით საქართველოს მთავრობას, თითოეულ სამინისტროს, სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციას, ოზურგეთის მაჟორიტარ დეპუტატს არჩილ თალაკვაძეს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

ნაყოფიერი და პრაქტიკული თანამშრომლობისთვის მადლობას ვუხდით „მუნიციპალური განვითარების ფონდს,“ „მყარი ნარჩენების მართვის კომპანიას,“ შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას,“ „ადგილობრივ

თვითმმართველობათა ეროვნულ ასოციაციას“ ასევე „ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას.“

მადლობა მინდა გადავუხადო მუნიციპალურ შესყიდვებში მონაწილე ყველა კეთილსინდისიერ კომპანიას, რომლებიც ზედმიწევნით ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს.

მინდა წარმატებები ვუსურვო ოზურგეთში მოღვაწე ბიზნესმენებს, კომპანიებს და მეწარმეებს.

მადლობას ვუხდის მედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს.

ულრმესი მადლობა ამომრჩევლებს ნდობისა და ერთგულებისთვის!

წინ გვაქვს მომდევნო 3 წელი და ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ თქვენთან ერთად ძალიან ბევრ სასიკეთო საქმეს გავაკეთებთ ოზურგეთის აღმშენებლობისა და თქვენი კეთილდღეობისთვის.

კონსტანტინე შარაშენიძე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი

29.11.2018